საქართველოს მთავრობის

დადგენილება №85

2025 წლის 21 მარტი

ქ. თბილისი

„საქართველოს თავდაცვის სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 12 დეკემბრის №580 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, „საქართველოს თავდაცვის სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 12 დეკემბრის №580 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 13/12/2018, 010240030.10.003.020896) შეტანილ იქნეს ცვლილება და დადგენილებით დამტკიცებული დებულების:

1. მე-2 მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის 7^1 პუნქტი:

„7^1. მინისტრის მიერ განსაზღვრული სუბიექტის/სუბიექტების მიერ საქართველოს თავდაცვის ძალების ავიაციისა და საჰაერო თავდაცვის სარდლობის საავიაციო საქმიანობის წარმოებასთან დაკავშირებული დოკუმენტაციის შემუშავება და დამტკიცება.“.

2. მე-5 მუხლის პირველი პუნქტის:

ა) „ვ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ვ) საფინანსო დეპარტამენტი;“;

ბ) „$პ^1$“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„$პ^1$) ხარისხის კონტროლის დეპარტამენტი;“.

3. მე-6 მუხლის:

ა) მე-3 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტი ამოღებულ იქნეს;

ბ) მე-4 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„დ) მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, კომპეტენციის ფარგლებში, შეიმუშავებს სახელმწიფო თავდაცვის პოლიტიკის კონცეპტუალურ და ორგანიზაციულ დოკუმენტებს, კოორდინაციას უწევს მათი შემუშავების/გადასინჯვის პროცესს;“;

გ) მე-6 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„6. საფინანსო დეპარტამენტი:

ა) შეიმუშავებს სამინისტროს სისტემის ბიუჯეტის პროექტს;

ბ) ახორციელებს საერთაშორისო პროგრამების ფინანსური დაგეგმვისა და შესრულების ხელშეწყობას;

გ) ახორციელებს სამინისტროს სახაზინო და საბანკო ოპერაციებს;

დ) ახორციელებს დამტკიცებული ბიუჯეტის შესრულების ანალიზს;

ე) აწარმოებს ბუღალტრულ აღრიცხვასა და ფინანსურ ანგარიშგებას;

ვ) შეისწავლის სამინისტროს სისტემის მიერ გასატარებელი სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითად მიმართულებებს და შეიმუშავებს სააღრიცხვო პოლიტიკას;

ზ) პასუხისმგებელია სამინისტროს სისტემაში ბუღალტრული აღრიცხვის მოწესრიგებასა და ფინანსური დისციპლინის განმტკიცებაზე.";

დ) მე-15 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„15. რეფორმების კოორდინაციისა და მდგრადობის უზრუნველყოფის დეპარტამენტი:

ა) ხელს უწყობს თავდაცვის ტრანსფორმაციის პროცესს;

ბ) ახდენს თავდაცვის უწყებრივი დონის კონცეპტუალური დოკუმენტების სამოქმედო გეგმების მონიტორინგს, შეფასებასა და ანგარიშგებას;

გ) ხელს უწყობს სამინისტროს რისკების მართვის სისტემის ჩამოყალიბებას, განვითარებასა და დანერგვას;

დ) სამინისტროში, გადაწყვეტილების მიღების პროცესების ხელშეწყობის მიზნით, კოორდინაციას უწევს მუდმივმოქმედი სამუშაო ჯგუფების, მართვის ჯგუფისა და გადაწყვეტილების მიმღები საბჭოს ეფექტიან მუშაობას;

ე) კომპეტენციის ფარგლებში, ხელს უწყობს, სამთავრობო დონეზე და უწყებათაშორის ფორმატში სამინისტროს მიერ აღებული ვალდებულებების ანგარიშგების პროცესს;

ვ) სამინისტროს სისტემაში მნიშვნელოვანი რეფორმების განხორციელების შესახებ ამზადებს შესაბამის ანგარიშებს;

ზ) უზრუნველყოფს სამინისტროს სისტემაში პროექტის მართვის ერთიანი სტანდარტის დანერგვას;

თ) უზრუნველყოფს სამინისტროს ინფრასტრუქტურისა და ლოჯისტიკის სისტემის განვითარების პოლიტიკის განსაზღვრას;

ი) უზრუნველყოფს სამინისტროს სტანდარტიზაციის მართვის სისტემის შექმნას და ხელს უწყობს მის გამართულ ფუნქციონირებას;

კ) ხელს უწყობს სამინისტროში კოდიფიკაციის სისტემის შექმნასა და განვითარებას;

ლ) ხელს უწყობს თავდაცვის ძალების მდგრადობას და ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაციასთან (ნატოსთან) თავსებადობის მხარდაჭერას.";

ე) 15^1 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„15^1. ხარისხის კონტროლის დეპარტამენტი:

ა) ახორციელებს სამინისტროს მიერ გაფორმებული სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების კონტროლსა და მონიტორინგს საქონლის ან/და მომსახურების ტექნიკურ მახასიათებლებთან მიწოდებული საქონლის ან/და მომსახურების შესაბამისობისა და ხარისხის დადგენის მიზნით;

ბ) კანონმდებლობით დადგენილი წესით, უზრუნველყოფს სამინისტროს ბალანსზე, ხოლო მინისტრის მიერ განსაზღვრულ შემთხვევებში – ასევე სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედ საჯარო

სამართლის იურიდიული პირების მომსახურების კონტროლს და მათ ბალანსზე რიცხული/სარგებლობაში გადაცემული ქონების სამშენებლო, სარემონტო, სამონტაჟო-სარეკონსტრუქციო სამუშაოების ზედამხედველობას დამტკიცებული პროექტის ან დეფექტური აქტის შესაბამისად.“.

მუხლი 2

1. საქართველოს კანონმდებლობით მისთვის მინიჭებულ უფლებამოსილებათა ფარგლებში, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს:

ა) საფინანსო დეპარტამენტი ჩაითვალოს ფინანსების მართვის დეპარტამენტის უფლებამონაცვლედ;

ბ) ხარისხის კონტროლის დეპარტამენტი ჩაითვალოს ხარისხის კონტროლისა და სამშენებლო ზედამხედველობის დეპარტამენტის უფლებამონაცვლედ.

2. ამ მუხლის პირველ პუნქტში მითითებული სტრუქტურული ქვედანაყოფების საქმიანობასთან დაკავშირებით მიღებული/გამოცემული სამართლებრივი აქტები ინარჩუნებს იურიდიულ ძალას უფლებამოსილი ორგანოს/თანამდებობის პირის მიერ ახალი სამართლებრივი აქტების მიღებამდე/გამოცემამდე. ამასთანავე, აღნიშნულ სამართლებრივ აქტებში ცვლილებების შეტანის ან/და მათი ძალადაკარგულად გამოცხადების უფლებამოსილება ენიჭება შესაბამის უფლებამოსილ ორგანოს/თანამდებობის პირს.

მუხლი 3

1. დადგენილება, გარდა ამ დადგენილების პირველი მუხლის მე-2 პუნქტისა, მე-3 პუნქტის „ბ“, „გ“ და „ე“ ქვეპუნქტებისა, ასევე მე-2 მუხლისა, ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

2. დადგენილების პირველი მუხლის მე-2 პუნქტი, მე-3 პუნქტის „ბ“, „გ“ და „ე“ ქვეპუნქტები, ასევე მე-2 მუხლი ამოქმედდეს 2025 წლის 12 აპრილიდან.

პრემიერ-მინისტრი **ირაკლი კობახიძე**